

დანართი №2

2019 წლის 22 აპრილს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის
შესახებ ე.ტ.№38-19 ხელშეკრულებაზე (NAT190004204)

ქ. თბილისი

05.02.2020წ.

ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის, ალექსანდრე თევდორაძის სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორე მხრივ, შპს „იბოლია“, წარმოდგენილი მისი დირექტორის, დავითი გოდერძიშვილის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის - აღმოსავლეთ საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების მართვის სამსახურის 2020 წლის 4 თებერვლის №1285-2 მოხსენებითი ბარათის და 2019 წლის 22 აპრილს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ე.ტ.№38-19 ხელშეკრულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის 2019 წლის 22 აპრილს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ე.ტ.№38-19 ხელშეკრულებაში (№11 ზონაში არსებული საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) და ზამთრის შენახვის სამუშაოები) და ხელშეკრულების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 20 000 000.00 (ოცი მილიონი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით, მათ შორის, 2019 წელს - 7 946 963,37 (შვიდი მილიონ ცხრაას ორმოცდაექვსი ათას ცხრაას სამოცდასამი ლარი და ოცდაჩვიდმეტი თეთრი) ლარი, 2020 წელს - 9 053 036,63 (ცხრა მილიონ ორმოცდაცამეტი ათას ოცდათექვსმეტი ლარი და სამოცდასამი თეთრი) ლარი, 2021 წელს - 3 000 000.00 (სამი მილიონი) ლარი.“

2. ზემოაღნიშნული ცვლილება არ იწვევს ხელშეკრულების ღირებულების შეცვლას. შესაბამისად, შესრულებულ სამუშაოებზე ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში, გატარებული ცვლილებების გათვალისწინებით.

3. წინამდებარე დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად. ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.

4. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

5. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად, თითოეული მხარისათვის.

შემსყიდველი
დეპარტამენტის
თავმჯდომარის მოადგილე
ალექსანდრე თევდორაძე



მიმწოდებელი
შპს „იბოლია“
დირექტორი
დავითი გოდერძიშვილი



Handwritten signatures in blue ink at the bottom of the document, including several illegible signatures and the initials '3-ju'.